სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში

18 აგვისტოს თბილისის ბერიას სახელობის "დინამოს" სტადიონზე გაიმართა მორიგი კალენდარული მატჩი მოსკოვისა და თბილისის "დინამოს" გუნდებს შორის.

თბილისელებმა თამაში დაიწყეს სწრაფი ტემპით და უკვე პირველსავე წუთებში მოსკოველთა კართან შეიქმნა სახიფათო მდგომარეობა, მაგრამ ბურთი სულ ცოტათი ასცდა კარს. თბილისელები განაგრძობენ იერიშს და მე–5 წუთზე ანთაძეს გააქვს ბურთი. ეს იყო ერთადერთი ბურთი, რომლის გატანაც შესძლეს თბილისელებმა, მიუხედავად იმისა, რომ მათ ბევრჯერ ჰქონდათ ანგარიშის გადიდების შესაძლებლობა. პირველი ტაიმი დამთავრდა ანგარიშით 1:0 თბილისელთა სასარგებლოდ.

მეორე ტაიმში უპირატესობა სტუმრების მხარეზე იყო. მე–15 წუთზე მათ ზედიზედ გაიტანეს ორი ბურთი. ამის შემდეგ თბილისელებმა სულ მოადუნეს თამაში და სერიოზულ წინააღმდეგობას აღარ უწევდნენ მოწინააღმდეგეს. შუა ტაიმში მოსკოველებმა საჯარიმო დარტყმით გაიტანეს კიდევ ერთი ბურთი და მატჩი მოიგეს ანგარიშით 3:1.

"კომუნისტი", 20 აგვისტო, 1948 წ.